ხელშეკრულება № 02-09
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
კლასიფიკატორის კოდი: 63110000

ქ.ქუთაისი 22 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს. "ო.ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი" დირექტორი ივანე მაღლაკელიძე, მის. ქ. ქუთაისი ჩხობაძის ქ. №16 ს/კ 212672080 თიბისი ბანკის ქუთაისის ფილიალი ბ/კ 220101888 ა/ა GE78TBO348134080100001 (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი გიორგი აცვლიშვილი პირადი №60001067528 (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის ტრანსპორტირების მომსახურება ქუთაისის ტერიტორიაზე.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთ) ლარს.

2.2. საშემოსავლო გადასახადის დაკავებას მოახდენს შემსყიდველი.

3. მომსახურების ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. მომსახურების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 25 თებერვლამდე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევა ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ანგარიშსწორებით.

6.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გაწევის დღიდან 2 დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 25 თებერვლამდე.

10. გადაუდებელი აუცილებლობა

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა გადაუდებელი აუცილებლობის გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, თუ ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "ოჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი"	ფიზიკური პირი
დირექტორი	გიორგი ნაცვლიშვილი
ივანე მაღლაკელიძე	